

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრები: ანა ხურციძე, ანა ლორია, მარიკა არევაძე, ქეთევან უტიაშვილი, ხათუნა ჩხაიძე, თეიმურაზ თოდრია, ინგა სეხნიაშვილი, კონსტანტინე გელაშვილი, ირაკლი კორძახია

საჩივრის ავტორი: „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“ (რეგისტრირებული დიდ ბრიტანეთში)

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ეკატერინე გვენცაძე /სიითი N6632/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.05.2017

საჩივრის რეგისტრაციის №033/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ /სიითი №4327/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თამარ ჯაფარიძისათვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2017 წლის 17 მაისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-მა და მოითხოვა ადვოკატ თამარ ჯაფარიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მასთან ოფიციალური ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის დასაწყისში, მათ შორის მინდობილობა გაფორმდა ამავე წლის მაისში. 2014 წლის 07 ივლისის საადვოკატო მომსახურების შეთანხმებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ის საქმე სასამართლოში და შსს-ს საგამომიებო ორგანოებში, საქართველოში რეგისტრირებული შპს „ი.-ის“ წინააღმდეგ, რომელსაც გააჩნდა ფულადი დავალიანება მის წინაშე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა მხარემ ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს გადასცა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

- 1.3 ადვოკატმა საჩივრის ავტორს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა ანგარიში და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მის მოვალეს შპს „ი.“-ს დაეკისრა დავალიანების სრულად გადახდა „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ისთვის.
- 1.4 ადვოკატმა საჩივრის ავტორი დაარწმუნა, რომ საადვოკატო მომსახურება გაუწია სრულყოფილად, რისთვისაც მიიღო გასამრჯელო 1400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. თანხა ადვოკატმა ხელზე მიიღო, თავად შეიტანა ანგარიშზე და კლიენტს წარუდგინა ქვითარი.
- 1.5 სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საჩივრის ავტორი ადვოკატს სთხოვდა საადსრულებო წარმობაში მომსახურების დაწყებას, მაგრამ ადვოკატი თავს არიდებდა სატელეფონო, სკაიპით თუ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციას და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თამარ ჯაფარიძე არ ურთიერთობდა მისი ნდობით აღჭურვილი პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელ - ილჰამ აჰმედოვთანაც კი, რომლის მეშვეობითაც ადვოკატმა მიიღო გასამრჯელო. ადვოკატი ასევე თავს არიდებს მის ოფიციალურ წარმომადგენელთან ურთიერთობას და არც სატელეფონო ზარებს პასუხობს.
- 1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, მას დაუკავშირდა კლიენტი და აღსასრულებლად გადასცა სასამართლოს გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა გაარკვია, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ საჩივრის ავტორისათვის გადაცემულ გადაწყვეტილებაში მითითებული ნომრით სასამართლოს სარჩელი არ მიუღია წარმობაში, გადაწყვეტილების შინაარსი იყო გამოგონილი და ის გამიზნული იყო კლიენტის მოსატყუებლად.
- 1.7 2017 წლის 27 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც მისმა კლიენტმა შეიტყო რომ ადვოკატის მიერ მისთვის გადაცემული სასამართლოს გადაწყვეტილება რეალურად არ არსებობდა, მათ სცადეს ადვოკატთან შეხვედრა, რამდენიმე შეხვედრის გადადების შემდეგ, ადვოკატი პირადად საჩივრის ავტორის წარმომადგენელს - ეკატერინე გვენცამეს შეხვდა და უთხრა, რომ ვერ მოახერხა სასამართლოში სარჩელის შეტანა და მოუწია გადაწყვეტილების გაყალბება. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატს მან ჰკითხა თუ რატომ შექმნა ეს გადაწყვეტილება, მან ხომ იცოდა რა შედეგებიც დადებოდა გადაწყვეტილების გაყალბების გამო, რაზეც ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ განუმარტა, რომ „ასეც ხდება ხოლმე“.
- 1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მის კლიენტს აქვს ეჭვი, რომ ადვოკატი თამარ ჯაფარიძე გაურიგდა მათ პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს და დრო შეგნებულად გააჭიანურა, რათა გასულიყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.
- 1.9 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ ეკატერინე გვენცამეს აცნობა, რომ „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ის მოვალისაგან მიღებული ჰქონდა ვალის აღიარების ხელწერილი. როდესაც ადვოკატმა მას გადასცა მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, განუმარტა, რომ გადასცემდა ვალის აღიარების ხელწერილს, რომელიც მან მოიპოვა კლიენტის მოპასუხისაგან და მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სამართლებრივი პრობლემა არ შეიქმნებოდა; თუმცა ადვოკატმა დანაპირები არ შეასრულა, ამის შემდეგ, არც კლიენტთან და არც მათ წარმომადგენელთან - ეკატერინე გვენცამესთან ურთიერთობს.

ეკატერინე გვენცაძის განმარტებით, მის მხარეს მოვალისაგან აქვს ინფორმაცია, რომ თამარ ჯაფარიძისათვის ვალის აღიარების ხელწერილი არ მიუციათ.

- 1.10 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, გარდა იმ არასწორი ინფორმაციისა, რომ საქმეს განიხილავდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, ადვოკატმა კლიენტს აცნობა, რომ მისი მოთხოვნის საფუძველზე მოვალის ქონება დაყადაღებული იყო. ეკატერინე გვენცაძის განმარტებით, როდესაც მან ეს ინფორმაცია გადაამოწმა, აღმოჩნდა, რომ მოვალის ქონება დაყადაღებული იყო, მაგრამ სხვა საქმეზე, სხვა კრედიტორის მიერ, ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს სააღსრულებო ბიუროში ამ ქონების დაყადაღების მოთხოვნა - განცხადება არ შეუტანია. ასევე, ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ საჩივრის ავტორს გადასცა პოლიციაში შეტანილი განცხადების ასლი, რომელიც წარმოდგენილი ინფორმაციით ასევე ყალბია, წერილზე მითითებულია ისეთი სარეგისტრაციო ნომერი, როგორსაც არ ანიჭებენ წერილებს, შესაბამისად ადვოკატს პოლიციისათვის არ მიუმართავს.
- 1.11 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ამჟამად მის კლიენტსა და მოვალეს შორის მისი მონაწილეობით შედგა შეთანხმება და მისმა კლიენტმა მიიღო ვალის აღიარების დოკუმენტი.
- 1.12 განხილვის კოლეგიის 2017 წლის 03 ოქტომბრის სხდომაზე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დაადასტურა მის მიერ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიისათვის წერილობით და ზეპირად მიცემული ინფორმაცია.
- 1.13 ეთიკის კომისიის სხდომაზე 2018 წლის 03 დეკემბერს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მის კლიენტს ადვოკატ თამარ ჯაფარიძის წინააღმდეგ ეთიკის კომისიის გარდა სხვა ორგანოსათვის არ მიუმართავს.

2. ადვოკატის პოზიცია

- 2.1 2017 წლის 24 მაისს ეთიკის კომისიის აპარატმა ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს ფოსტით გაუგზავნა საჩივარი მისამართზე ქ. თბილისი, ი.-ის ქ. NX და განუსაზღვრა საჩივრის ჩაბარებიდან 05 დღის ვადა საჩივარზე წერილობითი განმარტების წარმოსადგენად. ადვოკატს 2017 წლის 30 მაისს ჩაბარდა საჩივარი, მაგრამ მას საჩივარზე წერილობითი განმარტება არ წარმოუდგენია. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატთან გასაუბრება ჩანიშნა 2017 წლის 27 ივნისს, 16:00 საათზე. ადვოკატს შეტყობინება საპროცესო კოლეგიის სხდომის თარიღის შესახებ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ გაეგზავნა 2017 წლის 22 ივნისს და მას შეტყობინება ჩაბარდა 2017 წლის 24 ივნისს. ადვოკატი არ გამოცხადებულა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. საპროცესო კოლეგიისათვის ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობია.
- 2.2 ადვოკატი დაბარებული იყო ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2017 წლის 19 სექტემბერს, ადვოკატს შეტყობინება განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღის შესახებ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ გაეგზავნა 2017 წლის 15 სექტემბერს და ჩაბარდა 16 სექტემბერს. ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადდა და კოლეგიისათვის გამოუცხადებლობის მიზეზი არ უცნობებია. აღნიშნული სხდომა გადაიდო ადვოკატის გამოუცხადებლობის საფუძველით. განხილვის კოლეგიამ საქმეზე მეორე სხდომა დანიშნა 2017 წლის 03 ოქტომბერს, ადვოკატს შეტყობინება სხდომის თარიღის შესახებ გაეგზავნა 2017 წლის 25 სექტემბერს და ჩაბარდა 26 სექტემბერს, თუმცა ის კვლავ არ გამოცხადებულა სხდომაზე და კომისიისთვის გამოუცხადებლობის მიზეზი არ შეუტყობინებია.

- 2.3 ადვოკატს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმის განსახილველად ეთიკის კომისიისათვის გადაცემის თაობაზე პირადად ჩაბარდა 2017 წლის 27 დეკემბერს.
- 2.4 2018 წლის 09 ნოემბერს, ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს, ტელეფონის საშუალებით, ეთიკის კომისიის აპარატის სახელზე რეგისტრირებული ნომრიდან, ადვოკატთა ერთიან სიაში თამარ ჯაფარიძის სახელზე რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე ეცნობა ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის სხდომის თარიღი: 2018 წლის 13 ნოემბერი, 18:30 სთ. ადვოკატმა დაადასტურა, რომ ის გამოცხადდებოდა სხდომაზე. ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადებულა და გამოუცხადებლობის შესახებ კომისიისათვის ინფორმაცია არ მოუწოდებია. ეთიკის კომისიამ, გაითვალისწინა რა ადვოკატ თამარ ჯაფარიძის ინტერესი, შეაჩერა სხდომა და სხდომის მდივნის მეშვეობით დაუკავშირდა ადვოკატს, მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის გარკვევის მიზნით. სატელეფონო კომუნიკაციისას ადვოკატმა განაცხადა, რომ იმყოფებოდა რაიონში ნათესავის ორმოცზე, სურდა კომისიის სხდომაზე დასწრება და იმ შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისია სხდომას გადადებდა, ის გამოცხადდებოდა შემდეგ სხდომაზე. ეთიკის კომისიამ ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობა მიიჩნია არასაპატიოდ, მაგრამ გაითვალისწინა თამარ ჯაფარიძის ინტერესი, დებულების 34.1 მუხლით გაითვალისწინებული რეგულაცია და სხდომა გადადო. მომდევნო დღეს, 2018 წლის 14 ნოემბერს სხდომის გადადებისა და საქმის განხილვის თარიღის შესახებ ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს ინფორმაცია მიეწოდა სატელეფონო შეტყობინების გზით. ადვოკატმა განაცხადა, რომ გამოცხადდებოდა 2018 წლის 03 დეკემბერს, 19:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე და წარმოადგენდა მტკიცებულებებს. ადვოკატი თამარ ჯაფარიძე 2018 წლის 03 დეკემბერს ჩანიშნულ ეთიკის კომისიის სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე წარმოადგინა ინფორმაცია.
- 2.5 შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს მიეცა სრული შესაძლებლობა წარმოედგინა თავისი პოზიცია საჩივარში აღნიშნული პრეტენზიების თაობაზე, ის ეთიკის კომისიისთვის უცნობი დარჩა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

- 3.1 2017 წლის 27 ივლისს მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღმძვრის თაობაზე კეთილსინდისიერების, ნდობისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შესაძლო ფაქტზე.
- 3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი საჩივრის ავტორს შეგნებულად აწვდიდა არასწორ ინფორმაციას საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი და მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

- 4.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 04 აგვისტოს მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას. მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომები ჩაატარა 2017 წლის 19 სექტემბერს, 2017 წლის 03 ოქტომბერს და იხელმძღვანელა რა დებულების 36-ე მუხლით, 2017 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განსაზღვროდა გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რის გამოც საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1. ადვოკატს არ წარმოუდგენია პოზიცია საჩივარში აღნიშნულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაეთანხმებოდა ან სადავოდ გახდიდა. განმცხადებელმა მიუთითა ფაქტებზე და წარმოადგინა მათი დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატს არათუ საპირისპირო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საერთოდ არ შეედავა მათ. შედეგად, ეთიკის კომისია ადგენს, რომ დისციპლინურ პროცესში არსებული მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილებულია და დგინდება განმცხადებლის მიერ მითითებული შემდეგი ფაქტები:

5.2. ადვოკატ თამარ ჯაფარიძესა და „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის დასაწყისში. მხარეთა შორის 2014 წლის 07 ივლისს გაფორმდა საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთისათვის მომსახურების გაწევა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2014 წლის 07 ივლისის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

5.3. „პორტვესტ ლიმიტედმა“ ადვოკატ თამარ ჯაფარიძეზე გასცა 4 რწმუნებულება: 1) 2014 წლის 12 მაისს 3 თვის ვადით - 2014 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით, 2) 2014 წლის 04 სექტემბერს 6 თვის ვადით - 2015 წლის 04 მარტის ჩათვლით, 3) 2015 წლის 25 თებერვალს 5 თვის ვადით - 2015 წლის 25 ივლისის ჩათვლით, და 4) 2015 წლის 07 ოქტომბერს 6 თვის ვადით - 2016 წლის 07 მაისის ჩათვლით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

რწმუნებულება N 141226966;

რწმუნებულება N 140644646;

რწმუნებულება N 150576021;

რწმუნებულება N 151206381;

5.4. ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ საჩივრის ავტორს ელექტრონულ ფოსტაზე 2014 წლის 03 დეკემბერს თავისი ელექტრონული ფოსტიდან, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან რეესტრში (tjaparidze1@rambler.ru), მიაწოდა თავისი საქმიანობის ანგარიში, შემდეგი ტექსტით: „საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. საგამოძიებო პროცესები, რასაც ადგილი აქვს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის ოფისში, სადაც მე დამკითხეს როგორც პორტვესტის

წარმომადგენელი უკავშირდება ი.-ის დირექტორის, ბ. წ.-ის მხრიდან თაღლითობის ფაქტს. სასამართლო ითხოვს გამოძიებისაგან წერილს, დაკითხვის ოქმს, სადაც ბ. წ. აღიარებს მის პასუხისმგებლობას პორტვესტის წინაშე (გამომძიებელი ინფორმირებულია). ამის შემდეგ, დადგინდება სასამართლო მოსმენის თარიღი, სადაც ი.-ის დირექტორს ბ. წ.-ს დაეკისრება თქვენს წინაშე არსებული ფულადი ვალდებულებების შესრულება და სრულად სახელმწიფო ბაჟის გადახდა. პროცესის დასრულების შემდეგ, თუკი ისინი არ გაასაჩივრებენ გადაწყვეტილებას, ის შევა იურიდიულ ძალაში და დაიწყება აღსრულების პროცესი.“

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ელექტრონული მიმოწერა - 2014 წლის 03 დეკემბრის ანგარიში.

5.5. ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ის საქმეზე მიღებული აქვს ჰონორარი 3264 ლარი. ამ თანხიდან ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა დაახლოებით 500 ლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სალაროს შემოსავლის ორდერი N 15/11719.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ზეპირი განმარტება ეთიკის კომისიის 2018 წლის 03 დეკემბრის სხდომაზე .

5.6. ეთიკის კომისიამ სასამართლოსგან გამოითხოვა საქმის მასალები, რომლის თანახმად: 2014 წლის 26 დეკემბრის სარჩელზე სასამართლომ N2/22907-2014 განჩინებით უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, განჩინება გადაეცა მოსარჩელის წარმომადგენელს თამარ ჯაფარიძეს და მას აღნიშნული განჩინება არ გაუსაჩივრებია. ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ, როგორც „პორტვესტ ლიმიტედ“-ის წარმომადგენელმა, 2015 წლის 24 თებერვალს თავიდან მიმართა სასამართლოს სარჩელით, საქმეზე N2/3304-2015 სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ადვოკატს არ გაუსაჩივრებია. ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ, როგორც „პორტვესტ ლიმიტედ“-ის წარმომადგენელმა მესამედ მიმართა სასამართლოს სარჩელით 2015 წლის 12 ივნისს, საქმე N2/11372-2015. სასამართლომ 2015 წლის 17 ივნისს მიიღო განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, აღნიშნული განჩინებაც არ გასაჩივრებულა. ადვოკატ თამარ ჯაფარიძის 2015 წლის 19 ნოემბრის განცხადების შედეგად, 2016 წლის 13 იანვარს საქმეზე N2/11372-15 სასამართლომ მიიღო განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სამოქალაქო საქმე N 2/22907-14;

სამოქალაქო საქმე N 2/11372-15;

სამოქალაქო საქმე N 2/3304-15.

5.7. საჩივრის ავტორმა 2015 წლის 16 თებერვალს ადვოკატ თამარ ჯაფარიძის კუთვნილი ელექტრონული ფოსტით - t.@rambler.ru, მიიღო ადვოკატის მიერ გაგზავნილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/22907-2014. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე „პორტვესტ ლიმიტედ“-ი, მისი წარმომადგენელი თამარ ჯაფარიძე და მოპასუხე - შპს „ი.“, გადაწყვეტილება დათარიღებულია 16.01.2015 წლით. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „პორტვესტ ლიმიტედ“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „ი.-ს“ მოსარჩელე „პორტვესტ ლიმიტედ“-ის სასარგებლოდ დაეკისრა 47265

აშშ დოლარის გადახდა, 2623 ლარის გადახდა, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ამონაბეჭდი საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - ეკატერინე გვენცაძის ელექტრონული ფოსტიდან;

ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ კლიენტთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაგზავნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე NN2/22907-2014.

- 5.8 „პორტვესტ ლიმიტედის“ მოპასუხე მხარეს, შპს „ი.-ს“ ადვოკატ თამარ ჯაფარიძისათვის ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება არ გაუფორმებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ამონაბეჭდი „პორტვესტ ლიმიტედის“ რეგიონალური გაყიდვების მენეჯერის -ჯ. ლ.-ის ელექტრონული ფოსტიდან;

ამონაბეჭდი საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - ეკატერინე გვენცაძის ელექტრონული ფოსტიდან.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

- 7.1 კლიენტისათვის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუწოდებლობით და არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ დარღვეულია პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

7.1.1 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (აშსკ, მუხლი 6.2).

7.1.2 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (აპეკ, (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 8.6).

- 7.2 „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

- 7.3 ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტს უნდა შეეძლოს სწორი ინფორმაციის მიღება მისი საქმის შესახებ, რათა საქმის მსვლელობის პროცესში ადვოკატის, როგორც იურიდიული მრჩევლის დახმარებით, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. კლიენტი, როგორც საქმის შედეგით დაინტერესებული პირი,

მნიშვნელოვანია ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მის საქმეზე მიღებული დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებასაც.

- 7.4 ეთიკის კომისიამ სასამართლოდან გამოითხოვა სამოქალაქო საქმის მასალები სრულად, იმ საქმეებზე, სადაც მოსარჩელეა „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ი, საიდანაც ირკვევა, რომ თამარ ჯაფარიძემ არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კერძოდ, თამარ ჯაფარიძეს სამჯერ ეთქვა უარი სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე (2014 წლის 26 დეკემბრის სარჩელზე, საქმე N2/22907-2014; 2015 წლის 24 თებერვლის სარჩელზე, საქმე N2/3304-2015 და 2015 წლის 12 ივნისის სარჩელზე, საქმე N2/11372-2015), რის შესახებაც არ იყო ინფორმირებული კლიენტი. ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ 2015 წლის 19 ნოემბერს სასამართლოში წარდგენილი განცხადების შედეგად, 2016 წლის 13 იანვარს საქმეზე N2/11372-15 სასამართლომ მიიღო განჩინება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ, რომელიც ჩაიბარა თამარ ჯაფარიძემ და არც აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ არ წარმოადგინა ზეპირი ან წერილობითი ახნა-განმარტება ან სხვა მტკიცებულება, რომელიც მის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტს დაადასტურებდა. შესაბამისად, ეთიკის კომისიას სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს არ მიუწოდებია ინფორმაცია კლიენტისათვის მითითებული განჩინებების თაობაზე.
- 7.5 თამარ ჯაფარიძემ კლიენტს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, რაც ასევე არღვევს კლიენტის ინფორმირების ეთიკურ ვალდებულებას, რადგან კლიენტის ინფორმირება მისთვის არა ნებისმიერი, არამედ სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას გულისხმობს. თამარ ჯაფარიძემ კლიენტს გაუგზავნა ელექტრონული წერილი, რომ საქმეს განიხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მაშინ, როდესაც სარჩელი წარმოებაში მიღებული არ ყოფილა. ეთიკის კომისია საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან მიღებული საქმის მასალებით ადგენს, რომ სასამართლომ მოსარჩელე „პორტვესტ ლიმიტედ“-ის სახელით შესულ სამივე სარჩელზე მიიღო განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოს სარჩელი წარმოებაში არ მიუღია, შესაბამისად, არსებითი განხილვის საგანი არ გამხდარა მხარეთა შორის არსებული დავა და ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ შესატან სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს არ მიუღია.
- 7.6 ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ კლიენტს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოპასუხე მხარესთან გააფორმა ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება, რაც აგრეთვე არასწორი აღმოჩნდა. კერძოდ, დისციპლინურ საქმეში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულება (ამონაბეჭდი ადვოკატ თამარ ჯაფარიძისა და მისი კლიენტის ელექტრონული მიმოწერიდან), რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხე მხარეს ადვოკატ თამარ ჯაფარიძისათვის ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება არ გაუფორმებია.
- 7.7 შესაბამისად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მხრიდან დარღვეულია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება.

- 7.8 კლიენტისათვის არასწორი/ყალბი სასამართლო გადაწყვეტილების გადაგზავნით, ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერებისა და კანონიერების ფარგლებში მოქმედების ეთიკური ვალდებულება: ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (აშსკ, მუხლი 5(ა)).
- 7.9 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც მოიცავს კანონიერად მოქმედების ვალდებულებასაც. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პროცესში. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატის ყოველი ქმედება ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში. ადვოკატი, როგორც უფლებების დამცველი, არა მხოლოდ კლიენტის უფლებების დაცვისთვის და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის უნდა ზრუნავდეს, არამედ თავად უნდა იყოს მაგალითი სხვებისთვის. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საზოგადოებაში ამ პროფესიის წარმომადგენლები მაღალი ნდობით სარგებლობენ და ადვოკატმა არაკეთილსინდისიერი, არაკანონიერი დამოკიდებულებით არათუ ზიანი არ უნდა მიაყენოს მის პროფესიას, არამედ პირიქით, პროფესიული საქმიანობის პერიოდში, ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გააღრმავოს და გაამყაროს საზოგადოების ნდობა.
- 7.10 „ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერება, რაც მოიაზრებს ადვოკატის ვალდებულებას იმოქმედოს კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მაღლა დგას. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში. ადვოკატი იცავს კლიენტების კანონიერ უფლებებს სხვის მიერ მათი ხელყოფის დროს. ადვოკატს ორმაგად მოეთხოვება კანონიერების ფარგლებში მოქმედება, რადგან თავად იყოს მაგალითი საზოგადოებისათვის“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N093/17).
- 7.11 „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები... ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N057/10).
- 7.12 „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N010/10).
- 7.13 ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ კლიენტისათვის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაგზავნილი დოკუმენტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქმეზე N2/22907-2014, რომლითაც „მოსარჩელის („პორტვესტ ლიმიტედ“-ის) ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა“, აღმოჩნდა არასწორი/ყალბი. კერძოდ, სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციით, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ მოცემული ნომრით (N2/22907-2014) რეგისტრირებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ არსებობს. სასამართლოს მიერ გამოგზავნილი წერილით დგინდება, რომ ამავე ნომრით

არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, იმავე მხარეებს შორის („პორტვესტ ლიმიტედი“, წარმომადგენელი თამარ ჯაფარიძე, მოპასუხე შპს „ი.“), თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელე მხარეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და აღნიშნული დავა სასამართლოს არსებითად არ განუხილავს. ამასთან, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ წარმომადგენელი მტკიცებულებებით (ელექტრონული მიმოწერა, თანდართული დოკუმენტებით) დასტურდება, რომ მითითებული „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ კლიენტს გადაუგზავნა თამარ ჯაფარიძემ, იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც რეგისტრირებულია ადვოკატ თამარ ჯაფარიძის სახელზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა მონაცემთა ერთიან ბაზაში.

- 7.14 შესაბამისად, ეთიკის კომისიას სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ ყალბი დოკუმენტი - სასამართლო გადაწყვეტილება წარუდგინა კლიენტს, რითაც დაარღვია კეთილსინდისიერად და კანონიერად მოქმედების პროფესიული ვალდებულება.
- 7.15 კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუწოდებლობით, ყალბი სასამართლო გადაწყვეტილების გადაგზავნით კლიენტთან გართულებული კომუნიკაციით, ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ დარღვეულია ნდობის პრინციპი:

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (აპეკ, მუხლი 3).

- 7.16 „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).
- 7.17 ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ეს თვისებები იმავდროულად ადვოკატის ვალდებულებაა და ამ ვალდებულებათა შორის იგულისხმება ყველა ის თვისება, რაც კონკრეტული ადვოკატისადმი და ზოგადად პროფესიისადმი ნდობას ბადებს საზოგადოებაში.
- 7.18 ეთიკის კომისიამ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით შესძლებოდა

გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა. არაერთი მცდელობის შემდეგ, ეთიკის კომისიისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ადვოკატის პოზიციის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) მოპოვება შეუძლებელი აღმოჩნდა.

- 7.19 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა საადვოკატო საქმიანობისას ზიანი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის სახეზე, ადვოკატის პროფესიის მიმართ პატივისცემასა და მისდამი საზოგადოების ნდობაზე.
- 7.20 კომისიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია, განიხილა სასამართლოდან მიღებული საქმის მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ანგარიში - საქმის შესახებ ინფორმაცია არ არის ზუსტი; ის გამოგონილ მონაცემებს შეიცავს, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში დაცულ მონაცემებს არ ემთხვევა. ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ასევე, კლიენტის მცდელობისას, მიეღო თავისი საქმის შესახებ ინფორმაცია, ადვოკატი შემოიფარგლებოდა ზოგადი განმარტებებით, დაიმედებით და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და საქმის მასალები არ იყო ზუსტი. ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის ინტერესებისადმი ასეთი დამოკიდებულება ფასდება ადვოკატის არაკეთილსინდისიერ, არაკანონიერ ქმედებად და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულების დარღვევად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მითითებული ქმედებით, ადვოკატი თამარ ჯაფარიძე აზიანებს არა მხოლოდ მის მიმართ ნდობას, არამედ საზოგადოებაში ამკვიდრებს უნდობლობას ზოგადად ადვოკატის პროფესიისადმი, რაც ყოვლად დაუშვებელია. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიერ დარღვეულია პროფესიული ნორმებით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებები, რისთვისაც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი.
- 7.21 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან და ადვოკატის ქმედებიდან გამომდინარე, ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელის ფორმა.
- 7.21.1 დისციპლინური სახდელის სახეებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (აშსკ, მუხლი 34).
- 7.21.2 ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი (დებულება, მუხლი 2.5).
- 7.22 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, იგულისხმება პირველ რიგში ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა, რადგან დისციპლინური წარმოების მიზანი არ არის კლიენტის ქონებრივი თუ მორალური ზიანის დაკმაყოფილება, განსხვავებით

სამოქალაქო წარმოებისგან. დისციპლინური წარმოების მიზანია ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა, ხოლო თავის მხრივ ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მოცემულია მისი მიზანი, მათ შორის არის პროფესიული ღირსების დამკვიდრება და ადვოკატის პროფესიისათვის ნდობის მოპოვება. შედეგად ეთიკის კომისია აფასებს, თუ რამდენად მძიმე იყო ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევა და რა ზიანი მიაყენა ამ დარღვევამ ადვოკატის პროფესიას, თუმცა ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

7.23 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმე #098/17).

7.24 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

7.25 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული რეგულაციის მე-10 წესს, რომელიც დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს პროპორციულობის პრინციპის გამოსაყენებლად: „სანქციის დაკისრებისას გასათვალისწინებელია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის, მანამდე, ადვოკატს ჰქონდა თუ არა დისციპლინური სახდელი დაკისრებული; ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინური საქმისწარმოების პროცესის ხელშეშლას, აღიარებს თუ არა ადვოკატი გადაცდომას, ადვოკატის რეპუტაცია და შრომითი გამოცდილება, დროულად და კეთილსინდისიერად გადაცდომის შედეგების გამოსწორება“. (ABA, Model Rule 10 - Sanctions)

7.26 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია სახდელის ინდივიდუალიზაციისთვის მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

ა) ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, რამაც კლიენტს გაუჩინა მოლოდინი, რომ იმ გადაწყვეტილების აღსრულებას შეძლებდა, რომელიც რეალურად არ არსებობდა. ამ ყველაფერმა კლიენტი დააყენა იმ საფრთხის წინაშე, რომ შესაძლოა გასულიყო ხანდაზმულობის ვადა და მისი მოთხოვნა გამხდარიყო აღუსრულებელი. ამით ზიანი მიადგა არა მარტო კონკრეტულ კლიენტს, არამედ ზიანი მიადგა ასევე პროფესიას. კლიენტს წარმოეშვა უნდობლობა ადვოკატების მიმართ, რადგან ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელმა არ დაიცვა ძირითადი პროფესიული ვალდებულებები - კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურება და კლიენტის ინფორმირება.

ბ) ის გარემოება, რომ კლიენტი უცხოელია და არ ფლობს ქართულ ენას, დამატებით მოწვევლად ქმნის მას, მსგავსი დარღვევებისადმი. უცხოელ კლიენტს არ შეუძლია

დამოუკიდებლად ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება. ადვოკატმა ისარგებლა ასეთი კლიენტის ასეთი მოწყვლადობით.

გ) ადვოკატს არ გაუთვინციობიერებია მის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, მას არ მოუწოდებია განმარტება ეთიკის კომისიისთვის. თავისთავად, ადვოკატის დუმილი მისი უფლებაა, თუმცა ის გარემოება, რომ ადვოკატი არ აღიარებს მის დარღვევას და არ ცდილობს დარღვევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების გამოსწორებას, უარყოფით გავლენას ახდენს მის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის განსაზღვრაზე.

დ) ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ არსებობს ორი მოქმედი დისციპლინური სახდელი - 1) გაფრთხილება დისციპლინურ საქმეზე #052/16 და 2) საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით დისციპლინურ საქმეზე #077/16. ამ საქმეებში ადვოკატმა მსგავსი პროფესიული ვალდებულებები დაარღვია და ეს დისციპლინური გადაცდომები ჩაიდინა, გაქარწყლებული არ არის ეთიკის კომისიის მიერ მოცემული გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის.

7.27 ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და გარემოება, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძეს, ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის დაკისრებული აქვს გაფრთხილება და საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც დისციპლინური სახდელები სხვა დისციპლინურ საქმეებზე ჩადენილი გადაცდომებისთვის. ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა, რომ როგორც ეთიკის კომისიის საპროცესო, ისე ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა თამარ ჯაფარიძემ ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უმოქმედობით და ეთიკის სხდომებზე გამოუცხადებლობით ხელი შეუშალა დისციპლინირების პროცესს. ადვოკატ თამარ ჯაფარიძის ქმედებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა არა მხოლოდ კონკრეტულად საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ურთიერთობას, საჩივრის ავტორის ინტერესებს, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიას და მისდამი საზოგადოების ნდობას, რისი აღდგენაც დისციპლინირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ თამარ ჯაფარიძისათვის დისციპლინური სახდელის სახეები: გაფრთხილება ან საადვოკატო საქმიანობის უფლების უფრო დიდი ვადით ჩამორთმევა ქმედითი ვერ იქნება. ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ საადვოკატო უფლების შეწყვეტის შედეგად პირს შეუძლია მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას გაწევრიანების მოთხოვნით შეწყვეტიდან 3 წლის გასვლის შემდეგ. თავისი შედეგით, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტა ტოლფასია 3 წლით საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების.

7.28 ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ეთიკის კომისია ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ იყენებს დისციპლინურ სახდელს - საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3(ა), მე-5(ა), მე-6.2, 34.1(გ)-ე, 32-ე, 34-ე, 35-ე, 35¹-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8.6 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-2.5, მე-19, 39-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N033/17 ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ /სიითი №4327/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრის, ინგა სეხნიაშვილის განსხვავებული მოსაზრება.

კომისიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /ანა ლორია/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კომისიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორმახია/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრის

ადვოკატ ინგა სეხნიაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №033/17 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე (დისციპლინური საქმეზე 033/17 ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ /სიითი №4327/ დისციპლინური სახდელის ფორმად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ).

ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის სხდომაზე განვიხილეთ „პორტვესტ ქლოზინგ ლიმიტედ“-ის საჩივარი ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ /სიითი №4327/. ეთიკის კომისიამ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის მიმართ გამოიყენა ყველაზე მკაცრი სახდელი - ადვოკატს შეუწყვიტა საადვოკატო საქმიანობის უფლება.

საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კოლეგებს ვეთანხმები. განსხვავებული აზრი მაქვს დისციპლინური სახდელის ნაწილში. მიუხედავად ადვოკატ თამარ ჯაფარიძის გადაცდომისა, ვითვალისწინებ რა საჩივრის ავტორის პოზიციას, ზიანი არ დამდგარა და მიმაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ სახდელის ფორმად გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით მსუბუქი დისციპლინური სახდელი - საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

ინგა სეხნიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრი